

## საგამოცდო საკითხები სპეციალობების მიხედვით

### საშემსრულებლო შემოქმედებითი ხელოვნება - დრამის რეჟისურა:

გამოცდა ტარდება ორ ეტაპად:

- გასაუბრება (ზოგადად ხელოვნების საკითხებზე: თეატრი, მუსიკა, სახვითი ხელოვნება, ლიტერატურა და ა.შ.)
- წერა (პიესის რეჟისორული ექსპლიკაცია, სავარაუდო დრამატურგები : შექსპირი, მოლიერი, ჩეხოვი, კლდიაშვილი, კაკაბაძე)

განმარტება: სასურველია მაგისტრანტობის კანდიდატმა წარმოადგინოს საკუთარი ნამუშევრები ( მოთხრობა, ნოველა, ესსე, პიესა, ფოტოები და ა.შ.)

კონსულტაცია შესაძლებელია ხელმძღვანელთან.

### საშემსრულებლო შემოქმედებითი ხელოვნება - მსახიობის საშემსრულებლო ხელოვნება :

- გასაუბრება, სადაც მაგისტრანტობის კანდიდატი წარმოაჩენს: მოტივაციას, ზოგად ინტელექტუალურ და განათლების დონეს ლიტერატურასა და სამსახიობო ხელოვნებაში; ინტერესთა სფეროს, ანალიზისა და შემოქმედებითი ფანტაზიის უნარს.

### საშემსრულებლო შემოქმედებითი ხელოვნება - აუდიო-ვიზუალური რეჟისურა

#### მხატვრული კინოს რეჟისურა

აბიტურიენტმა საბუთებთან ერთად უნდა შემოიტანოს:

- თავისი შემოქმედებითი ნამუშევრები, თუკი ასეთი გააჩნია: ნახატები, ლიტერატურული ნაწარმოებები, სამოყვარულო ფილმები და ა.შ.
- სამოტივაციო წერილი, თუ რატომ უნდა ამ მიმართულებით მაგისტრატურაში სწავლა.
- მისაღები გამოცდა შედეგზე გასაუბრებისგან საერთო განათლების და კინოხელოვნებასთან დაკავშირებულ თემებზე; აბიტურიენტს დაესმება შეკითხვები ხელოვნების სხვადასხვა სფეროებიდან: მსოფლიო და ქართული კინოს ისტორიიდან, ლიტერატურიდან (მათ შორის თანამედროვე ქართული ლიტერატურიდან), მუსიკიდან, მხატვრობიდან და ა.შ.

ლიტერატურა:

ლელა ოჩიაური, მაგდა ანიკაშვილი, გიორგი რაზმაძე - უახლესი ქართული მხატვრული კინო

ზვიად დოლიძე - «მსოფლიო კინემატოგრაფის ისტორია - უხმო კინო», (თბ. 2008)

ზვიად დოლიძე - მსოფლიო კინემატოგრაფის ისტორია 1930-1960-იანი წლები

საუბრები კინორეჟისურაზე (ქრესტომათია, წიგნი I)

საუბრები კინორეჟისურაზე (ქრესტომათია, წიგნი II)

კინორეჟისურის შესახებ - ბიალონი - ავტორი რეზო ესაძე

## საშემსრულებლო შემოქმედებითი ხელოვნება - აუდიო-ვიზუალური რეჟისურა ტელერეჟისურა

- გასაუბრება, სადაც მაგისტრანტობის კანდიდატი წარმოაჩენს: მოტივაციას, ზოგად ინტელექტუალურ და განათლების დონეს ლიტერატურასა და ხელოვნებაში; ინტერესთა სფეროს, ანალიზისა და შემოქმედებითი ფანტაზიის უნარს.

## საშემსრულებლო შემოქმედებითი ხელოვნება - კინო-ტელე ოპერატორი

აბიტურიენტმა საბუთებთან ერთად უნდა შემოიტანოს:

- თავისი გადაღებული სამოყვარულო, ან პროფესიული ვიდეონამუშევრები, ფოტოსურათები, სახვითი და სხვა მხატვრული ფორმების შემოქმედებითი ნამუშევრები, თუკი ასეთი გააჩნია;
- სამოტივაციო წერილი, თუ რატომ უნდა მას საოპერატორო მიმართულებით მაგისტრატურაში სწავლა

მისაღები გამოცდა შედგება გასაუბრებისგან საერთო განათლების, კინოსა და კერძოდ კინოსაოპერატორო ხელოვნებასთან დაკავშირებულ თემებზე; გასაუბრებაზე აბიტურიენტს დაესმება შეკითხვები მსოფლიო და ქართული კინოს ისტორიიდან, კინოსაოპერატორო პროფესიასთან და სახვით ხელოვნებასთან დაკავშირებულ თემებზე. გასაუბრებისას გამოვლინდება აბიტურიენტის საერთო განათლების, აგრეთვე - კინო-ტელე ტექნიკის ცოდნის და პრაქტიკული გამოცდილების დონე.

ლიტერატურა:

პიტერ უორდის წიგნი "კადრის კომპოზიცია კინოსა და ტელევიზიაში"

ზვიად დოლიძე - «მსოფლიო კინემატოგრაფის ისტორია - უხმო კინო» (თბ. 2008)

ზვიად დოლიძე - მსოფლიო კინემატოგრაფის ისტორია 1930-1960-იანი წლები

ლელა ოჩიაური, მაგდა ანიკაშვილი, გიორგი რაზმაძე - უახლესი ქართული მხატვრული კინო

Майк Гудридж, Тим Грирсон - Профессия Кинооператор – из серии «Лучшие мастерклассы»

ყველა ჩამოთვლილი წიგნი არის საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

## ხელოვნების ისტორია და თეორია - ხელოვნებათმცოდნეობა

პროგრამაზე სწავლის მსურველთათვის გათვალისწინებულია ზეპირი გამოცდა.

ხელოვნებათმცოდნეობა ორი მოდულითაა წარმოდგენილი:

- ძველი ქართული ხელოვნება – კვლევა და დაცვა
- XX საუკუნის ხელოვნება

### ხელოვნებათმცოდნეობის საგამოცდო საკითხები

1. ქართული ხელოვნების ისტორიის ეტაპები.
2. ბაზილიკების არქიტექტურა საქართველოში.
3. მცხეთის ჯვრისა და წრომის ტაძრები.
4. "გარდამავალი ხანის" ქართული ხუროთმოძღვრება და კედლის მხატვრობა.
5. X-XI საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრება (ოშკი, ბაგრატის ტაძარი, სვეტიცხოველი, სამთავისი).
6. X-XI საუკუნეების ოქრომჭედლობა (იმხნის ჯვარი, ბედიის ბარძიმი, ლაკლაკიდის ხატი).
7. XII-XIII საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრება (გელათი, ბეთანია, ქვათახევი, ფიტარეთი).
8. წმ. სოფიას ტაძარი კონსტანტინოპოლში და ბიზანტიის ხელოვნება.
9. რომანული და გოთიკური სტილი ევროპაში - ზოგადი დახასიათება.
10. რენესანსის ოსტატები - ლეონარდო, რაფაელი, მიქელანჯელო.
11. იმპრესიონიზმი.
12. მოდერნიზმი ევროპის ქვეყნებში.
13. „ტფილისური პორტრეტული სკოლის“ მხატვრობა.
14. გიორგი გაბაშვილის შემოქმედება.
15. ნიკო ფიროსმანიშვილის შემოქმედება.
16. დავით კაკაბაძე და ლადო გუდიაშვილი.
17. ელენე ახვლედიანი და შალვა ქიქოძე.
18. ქართველი მოქანდაკე - იაკობ ნიკოლაძე.
19. დიმიტრი შევარდნაძე - შემოქმედი და საზოგადო მოღვაწე.

20. პეტრე ოცხელის და ირაკლი გამრეკელის შემოქმედება.

ლიტერატურა:

ძველი ქართული ხელოვნება:

- ამირანაშვილი შ., ქართული ხელოვნების ისტორია, თბ. 1971.
- ბერიძე ვ. ქართული ხუროთმოძღვრების ისტორია, ტ. 1-2., თბ. 2014.
- ბერიძე ვ., ძველი ქართული ხუროთმოძღვრება, თბილისი, 1974.
- ზაქარაია პ., XI-XVIII საუკუნეების ქართული ცენტრალურ-გუმბათოვანი არქიტექტურა, ტ. I,II, თბილისი, 1976, 1978.

მსოფლიო ხელოვნება:

- გომბრიხი ე., ხელოვნების ამბავი, თბ. 2012.
- მაჭარაშვილი ნ. სილაგაძე ნ., მსოფლიო ხელოვნება, თბ., 2010
- მ. სთოქსთედი, მ.ვ. ქოთრენი, ხელოვნების ისტორია XVIII საუკუნიდან დღემდე, თბ., სამხ. აკადემია, 2017

XX საუკუნის ქართული ხელოვნება:

- აბესაძე ი., ზაგრატიშვილი ქ., დიმიტრი შევარდნაძე, თბ., 1998.
- აბესაძე ი., შალვა ქიქოძე, თბ., 1990.
- ბერიძე ვ., ნიკო ფიროსმანაშვილი, თბ., 2007.
- გენგიური ნ., ქანდაკება, თბ. 2006.
- გიგო გაბაშვილი. ალბომი. "ხელოვნება", თბ., 1986.
- კარბელაშვილი მ., ელენე ახვლედიანი, თბილისი, 1980.
- ქართული მოდერნიზმი 1910\_1930, სტატიათა კრებული, "სეზანი", თბ.,2005.
- პეტრე ოცხელი 1907 \_ 1937, სტატიათა კრებული, "სეზანი", თბ., 2007
- ციციშვილი მ., XVIII-XIX საუკუნეების ქართული პორტრეტული ფერწერა.თბილისი., 1997.
- ციციშვილი მ., ჭოლოშვილი ნ., ქართული მხატვრობა – განვითარების ისტორია: XVIII-XIX სს., თბ. 2013.
- რჩეულიშვილი ლ., დავით კაკაბაძე. თბილისი., 1983
- ხომტარია გ., ნიკო ფიროსმანაშვილის ნატიურმორტები, "საბჭოთა ხელოვნება", 1978, #10.
- В. Беридзе, Н. Езерская. Искусство Советской Грузии 1921-1970. М., 1975.
- Е. Кузнецов, Нико Пиросмани. Л., 1983

## ხელოვნების ისტორია და თეორია - კინომცოდნეობა

### კინომცოდნეობის საგამოცდო საკითხები

#### მსოფლიო კინოს ისტორია

1. კინოს დასაწყისი (ედისონი, ლუმიერები, სკლადანოვსკები, მელიესი)
2. დევიდ გრიფითი
3. ჩარლზ ჩაპლინი
4. მხატვრული მიმდინარეობები კინოში (ავანგარდი, ექსპრესიონიზმი, პოეტური რეალიზმი, ნეორეალიზმი, "ახალი ტალღა", ახალი გერმანული კინო)
5. ხმის მოსვლა კინოში და მისი შედეგები
6. პოპულარული კინოჟანრები
7. კინოს სახეობები
8. ამერიკული "კინოვარსკვლავთა სისტემა"
9. თანამედროვე მსოფლიო კინოინდუსტრია

#### ქართული კინო

1. 20-იანი წლების ქართული კინო – ახალი კინოენისა და ფორმების ძიება და ჩამოყალიბება. კავშირი მსოფლიო კინემატოგრაფში მიმდინარე პროცესებთან.
2. ახალი ეპოქა. რა არის სოციალისტური რეალიზმი? სოციალისტური რეალიზმი და ქართული კინო.
3. მეორე მსოფლიო ომის პერიოდისა და ომისშემდგომი კინემატოგრაფის ახალი იდეოლოგია და პროპაგანდა.
4. "აღორძინება" ქართულ კინოში - 50-60-იანი წლები.
5. ქართული კინო დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ – კრიზისი და ახალი ტენდენციები.

#### კინოენის საფუძვლები

1. სტრუქტურალისტები და პოსტსტრუქტურალისტები
2. 20-იანი წლების საბჭოთა პოეტურ-მონტაჟური კინო
3. ნეორეალიზმიდან – საავტორო კინომდე
4. "გაბრაზებულები". `ობერჰაუზენელები~, ბრიტანული კინო
5. კინოს თეორეტიკოსები (ზიგფრიდ კრაკაუერი, ანდრე ბაზენი, სერჟ დანეი)

## ლიტერატურა:

### მსოფლიო კინო

1. ზვიად დოლიძე. მსოფლიო კინოს ისტორია. უხმო კინო. თბილისი, “კენტავრი”, 2008 (თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა)
2. ზვიად დოლიძე. მსოფლიო კინოს ისტორია. 1930-1960-იანი წწ. თბ. “კენტავრი”, 2014 (თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა)
3. მაია ლევანიძე "60-70-იანი წლების გერმანული კინო“, 2008
4. ქეთევან ღონღაძე „ბრიტანული უხმო კინო“, „ცის ნამი“, 2006
5. Андре Базен. Что такое кино. М., “Искусство”, 1972 (თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა)
6. The Oxford History of World Cinema. London-New York: Oxford University Press, 1997 (თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა);  
[https://www.goodreads.com/book/show/72392.The\\_Oxford\\_History\\_of\\_World\\_Cinema](https://www.goodreads.com/book/show/72392.The_Oxford_History_of_World_Cinema)
7. Spike, Mike, Slackers, & Dykes: A Guided Tour Across a Decade of American Independent Cinema  
[https://www.goodreads.com/book/show/72392.The\\_Oxford\\_History\\_of\\_World\\_Cinema](https://www.goodreads.com/book/show/72392.The_Oxford_History_of_World_Cinema)
8. From Caligari to Hitler: A Psychological History of the German Film. by Siegfried Kracauer, Leonardo Quaresima ,  
[https://www.goodreads.com/book/show/72392.The\\_Oxford\\_History\\_of\\_World\\_Cinema](https://www.goodreads.com/book/show/72392.The_Oxford_History_of_World_Cinema)

### ქართული კინო

1. მე-20 საუკუნის ხელოვნება. სახელოვნებო პროცესები. 1900-1930. საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა „კენტავრი“. 2011
2. ხელოვნება ტოტალიტარიზმის პერიოდში. 1930-1960. საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა „კენტავრი“. 2012
3. სახელოვნებო პროცესები 1960-2000. საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა „კენტავრი“. 2013
4. „დრო. ხელოვანი. თავისუფლება. „ქართული კინოს ოჯახური პორტრეტი პერესტროიკიდან თანამედროვე არაერთგვაროვანი პეიზაჟის ფონზე“. საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი. „კენტავრი„. 2014
5. ქეთევან ტრაპაიძე, მერაბ კოკოჩაშვილი, „კენტავრი“, 2014
6. ეთერ ოკუჯავა, დავით კაკაბაძე – კინომხატვარი, 2009
7. ზვიად დოლიძე “ქართული კინო”, 2004
8. ნათია ამირეჯიბი “სინემატოგრაფიდან კინოხელოვნებამდე”, თბ., 1996.
9. ოლღა თაბუკაშვილი, ნიკოლოზ შენგელაია, თბ., 1976.
10. ალექსანდრე შპაგინი, ”კიდე”, ისკუსტვო კინო, 2, მ.,N1991
11. ევგენი ვეიცმანი, კინოს ფილოსოფიის ნარკვევები, მ., “ისკუსტვო”, 1978
12. მიხეილ ბლეიშანი, კინოს შესახებ \_ მოწმის ჩვენებები, მ., “ისკუსტვო”, 1973

13. ალექსანდრე ტროშინი, ისტორია – ეს რომანია, მ., “ისკუსტვო კინო”, 1989
14. რუსუდან თიკანაძე, Грузинское кино – Проблемы, исследования. “ხელოვნება”, 1978
15. ნათია ამირეჯიბი, დროთა ეკრანი, “ხელოვნება”, 1989, თბ
16. ტატა თვალჭრელიძე, კინემატოგრაფიული ძიებანი, “ხელოვნება”, 1989.
17. История Советского Кино. ოთხ ტომად, I-II ტომი, მ., 1968
18. ლელა ოჩიაური, მაგდა ანიკაშვილი, გიორგი რაზმაძე. უახლოესი ქართული მხატვრული კინო. თბილისი, „კენტავრი“, 2018

#### კინოენის საფუძვლები

1. Film Theory and Criticism: Introductory Readings. Published March 11th 2004 by Oxford University Press, U[https://www.goodreads.com/book/show/84108.Film\\_Theory\\_and\\_Criticism](https://www.goodreads.com/book/show/84108.Film_Theory_and_Criticism)
2. Theory of Film: The Redemption of Physical Reality, by Siegfried Kracauer, [https://www.goodreads.com/book/show/84108.Film\\_Theory\\_and\\_Criticism](https://www.goodreads.com/book/show/84108.Film_Theory_and_Criticism)
3. Film as Art, by Rudolf Arnheim. [https://www.goodreads.com/book/show/84108.Film\\_Theory\\_and\\_Criticism](https://www.goodreads.com/book/show/84108.Film_Theory_and_Criticism)
4. დინარა მაღლაკელიძე „კინოს ტეორიის კლასიკური და თანამედროვე ტექსტები“. 2013
5. რეზო ესაძე "კინორეჟისურის შესახებ", „კენტავრი“, 2008
6. მიხო ბორაშვილი, კინორეჟისურა, „კენტავრი“, 2008
7. მიხო ბორაშვილი. საუბრები კინორეჟისურაზე, „კენტავრი“. 2014
8. რუსუდან მირცხულავა, ხელოვნების ფსიქოლოგია, „კენტავრი“, 2007
9. ოთარ იოსელიანი, კადრირება, „კენტავრი“, 2008
10. Аристарко Г., История теорий кино, М., 1966
11. Б е р г с о н А. Творческая эволюция. Материя и память. Минск, 1999, с. 338–339.
12. Барт Р. Смерть автора; Эффе́кт реальности; Мифологии // Барт Р. Избранные работы. Семиотика. Поэтика. М., 1989.
13. Кино Великобритании. Сборник статей, М., 1970
14. Кино Италии: Неореализм / Пер. с ит., сост. и комм. Г.Д. Богемского, М., 1989
15. Кино Франции, 58-78" Жан-Пьер Жанкола, М., 84
16. Кино Японии" Т.Сато, М., 88,

## ტელემედია თეორია და პრაქტიკა (მედიის კვლევები)

### მოდულის „ტელემედიის მკვლევარ-კრიტიკოსი“

გამოცდა ტარდება წერიითი სახით. გამოცდაზე დემონსტრირებული იქნება სატელევიზიო გადაცემა, ან სატელევიზიო ფილმი, ამასთან აბიტურიენტს წერიითი ნაშრომის შესასრულებლად დამატებით ეძლევა შესაძლებლობა აირჩიოს საგამოცდოდ წარმოდგენილი თავისუფალი თემა. აბიტურიენტი ქმნის წერიტ ნაშრომს. წერიტ ნაშრომი, აბიტურიენტის სურვილისა და შემოქმედებითი უნარიდან გამომდინარე შესაძლოა შესრულდეს რეცენზიის, ესსეს, პუბლიცისტური გამოკვლევისა, თუ კრიტიკული სტატიის ჟანრში.

გამოცდის ხანგრძლივობა შეადგენს სატელევიზიო გადაცემის, სატელევიზიო ფილმის დემონსტრირებისათვის საჭირო დროს დამატებული 3 საათი წერიტ ნაშრომის შესასრულებლად.

ნაშრომი ფასდება 100 ქულიანი სისტემით. პრეტენდენტმა უნდა გადალახოს მინიმალური ზღვარი, რომელიც შეადგენს 51 ქულას.

#### კრიტერიუმები:

1. ანალიტიკური აზროვნების უნარი - 25
2. შემოქმედებითი აზროვნების უნარი - 25
3. თხრობის ორგანიზების უნარი - 25
4. წერის კულტურა - 25

#### მოთხოვნები:

- აბიტურიენტმა უნდა შეძლოს ნაშრომში წარმოადგინოს ძირითადი პრობლემის, თემისა და მსჯელობის ანალიზი;
- მოცემული საკითხის გააზრებული, დამაჯერებელი, სრულყოფილი ანალიზი;
- ავტორის პოზიცია შესაბამისი დასაბუთებით, დამაჯერებელი და ადეკვატური მაგალიტებით უნდა იყოს გამყარებული;
- ნაშრომში უნდა იკვეთებოდეს ინტერპრეტაციისა და განზოგადების ავტორისეული უნარი;
- ნაწერი სტრუქტურულად უნდა იყოს გამართული.
- აზრები მწყობრად, თანმიმდევრულად უნდა იყოს გადმოცემული.
- ნაშრომის ნაწილები ერთმანეთთან ლოგიკურად უნდა იყოს დაკავშირებული.
- აზრები ცხადად, ნათლად უნდა იყოს გამოთქმული.
- ნაწერი უნდა იყოს სტილისტურად გამართული, ლექსიკა უნდა შეესაბამებოდეს მოცემულ თემატიკას.



## ხელოვნების მენეჯმენტი

სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის მსურველთათვის გათვალისწინებულია ზეპირი გამოცდა. შეფასება მოხდება 100 ქულიანი სისტემით. პრედენტენტმა უნდა გადალახოს მინიმალური ზღვარი, რომელიც შეადგენს 51 ქულას, შეფასების კრიტერიუმები :

- 1) საკითხის ცოდნა - 25 ქულა
- 2) ინფორმაციის სისრულე - 25 ქულა
- 3) ლოგიკური მსჯელობის უნარი - 25 ქულა

კონსულტაცია შესაძლებელია პროგრამის ხელმძღვანელთან

საგამოცდო საკითხები

1. მენეჯმენტი არსი, მიზნები და ამოცანები
2. მართვის ფუნქციები (დაგეგმვა, ორგანიზება, მოტივაცია, კონტროლი)
3. მართვისადმი მიდგომები (პროცესული, სისტემური, სიტუაციური)
4. კულტურის მენეჯმენტის მართვის თავისებურებები მეთოდები და პრინციპები
5. კულტურის სფერო, კულტურის პროდუქტი, კულტურის მწარმოებლები და მენეჯმენტის მეთოდები
6. კულტურის სფეროს ორგანიზაციების და მათი მართვის მეთოდები
7. კულტურის სფეროს დაფინანსება
8. სახელმწიფო სექტორი და კულტურის სფერო
9. არასახელმწიფო სექტორი
10. სამეწარმეო პოლიტიკა კულტურაში
11. კულტურის პოლიტიკის საკითხები
12. კულტურული რესურსები, მატერიალური და არამატერიალური კულტურა;
13. კულტურული მემკვიდრეობის მართვა და მენეჯმენტის საკითხები
14. კულტურის ეკონომიკის საკითხები;
15. კულტურის სფეროს მართვა და დაგეგმარება
16. კულტურა – როგორც სოციალური სფერო
17. კულტურის დაფინანსება – სამეწარმეო პოლიტიკა კულტურაში
18. ხელოვნების მენეჯმენტის ტექნოლოგიური პროცესები – განვითარებათა ზეგავლენა კულტურასა და კულტურის ეკონომიკაზე
19. სახელოვნებო ორგანიზაციების ორგანიზაციული სტრუქტურა და ფინანსები;

ლიტერატურა: 1. ფილდენი ბერნარ მ., იოკილეთო იუკა: მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ღირსშესანიშნავი ადგილების მართვის სახელმძღვანელო პრინციპები, თბილისი, 2005 2. ნ. სანადირაძე, კულტურის სფეროს პროექტების მენეჯმენტი და დაგეგმარება, 2012. 3. გ. შუბლაძე, ბ. მღებრიშვილი,

ფ.წოწკოლაური, მენეჯმენტის საფუძვლები. გამომცემლობა «უნივერსალი» თბილისი 2008 4. ხიპ ჰაგორტი, სახელოვნებო მენეჯმენტი – ანტრეპრენიორული სტილი; 5. მ. დრაგიჩევიჩ-შეშიჩი, ბ. სტოიკოვიჩი, კულტურა, მენეჯმენტი, ანიმაცია და მარკეტინგი, 2007 თბილისი

## კულტურული ტურიზმი

პროგრამაზე სწავლის მსურველთათვის გათვალისწინებულია ზეპირი გამოცდა.

შეფასება მოხდება 100 ქულიანი სისტემით. პრეტენდენტმა უნდა გადალახოს მინიმალური ზღვარი, რომელიც შეადგენს 51 ქულას.

შეფასების კრიტერიუმები:

- ა) საკითხის ცოდნა – 25 ქ.
  - ბ) ინფორმაციის სისრულე – 25 ქ. ც) ანალიზის უნარი – 25 ქ.
  - დ) ლოგიკური მსჯელობის უნარი – 25 ქ.
- კონსულტაცია შესაძლებელია პროგრამის ხელმძღვანელთან.

### საგამოცდო საკითხები :

1. კულტურული ტურიზმის როლი და ადგილი საერთაშორისო მოგზაურებებში
2. კულტურული ტურიზმი ტუროპერატორული კონცეფციის კონტექსტში, ტუროპერატორების ბაზარი
3. კულტურული ტურიზმის ბაზარი; საქართველოს ტურისტული ფორმების კულტურული ტურები
4. კულტურულ ტურიზმში სხვადასხვა მიმართულებების წარმატებული ფუნქციონირების სტრატეგიები; კულტურულ-ტურისტული შეთავაზებების წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორები.
5. ატრაქციები და ღირსშესანიშნაობები, როგორც კულტურული ტურიზმის ობიექტი.
6. მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობა, როგორც კულტურული ტურიზმის ატრაქციები;
7. იუნესკოს როლი კულტურული ტურიზმის განვითარებაში
8. "იკომოსი და უნიკალური ქართული მემკვიდრეობის ძეგლები
9. EVENT მენეჯმენტი კულტურულ ტურიზმში
10. ტურისტული გამოფენების მენეჯმენტი; მიზნობრივი ბაზრის ამორჩევა; გამოფენის ბიუჯეტი; საგამოფენო სივრცის დაქირავება.
11. კულტურულ-შემეცნებითი საქალაქო ტურიზმი; ბიზნეს-ტურიზმი; გასართობ-სათამაშო ტურიზმი.
12. ტურისტული გამოფენები ურბანულ ცენტრებში"
13. მუზეუმების როლი კულტურულ ტურიზმში
14. მსოფლიო მუზეუმები და ტურიზმი; სამუზეუმო მენეჯმენტი და მარკეტინგი.
15. რელიგიური ტურიზმი, როგორც ტურიზმის მნიშვნელოვანი მიმართულება

### ლიტერატურა:

1. ნ. კვარაცხელია - „კულტურული ტურიზმი“ თბ. 2009
2. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო - „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები“ თბ.2010